ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

9 სექტემბერი 2024

N112248

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,შპს "დაგი"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 1 აგვისტოს N 070146 ბრძანებაში არსებითი შესწორების შეტანის თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ 2023 წლის 1 აგვისტოს გაცემულ იქნა ,,შპს "დაგი"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ" სამსახურის უფროსის N 070146 ბრძანება ორმაგი ოდენობის ფულადი ჯარიმის სახით, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის მიზეზით.

შპს „დაგი"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანებით N 070146 შპს „დაგი"-ს (შემდგომ - სუბიექტი; ს/ნ 205022134), როგორც პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოს, დაეკისრა ორმაგი ოდენობის ფულადი სანქცია 20 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად. ბრძანებას სუბიექტი ანგარიშგების ვებგვერდზე გაეცნო 2023 წლის 2 ნოემბერს. აღნიშნული ორმაგი ოდენობის ფულადი ჯარიმის აქტით დაკისრებული თანხა 2023 წლის 25 დეკემბერს იქნა ამოღებული იძულებითი აღსრულების მექანიზმით, სამსახურის მიერ 2023 წლის 19 დეკემბერს გაცემული N E070146 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

მიმდინარე წლის 31 მაისს, შპს „დაგი"-მ ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით (მომართვა N YFD74808ZOV) მომართა სამსახურს და აღნიშნა, რომ საწარმოს ზომითი კატეგორია 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის იყო მეორე, შესაბამისად მოითხოვა აღნიშნული საანგარიშგებო წლის მიზნებისთვის სამსახურის მიერ გაცემული სანქციების დაკორექტირება.

კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახური სუბიექტს რისკების მართვის სისტემის საფუძველზე შეისწავლის. რისკების მართვის სისტემაში არსებული და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სამსახური იღებს სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას."

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე".

ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, სუბიექტის მომართვის ფარგლებში სამსახურმა დამატებით გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები. სუბიექტთან (შპს ,,დაგი"; ს/ნ 205022134) მიმართებაში მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოვლინდა შეცდომა. კერძოდ, ბრძანების მეორე აბზაცში არასწორად არის მითითებული საწარმოს ზომითი კატეგორია, ნაცვლად მე-2 ზომითი კატეგორიისა, ფიქსირდება - პირველი. ასევე, სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში მითითებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა - 20 000 ლარი შეესაბამება პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოს.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახურისგან (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის შპს „დაგი“-ს ზომითი კატეგორია იყო მეორე. კერძოდ, აქტივები - 2837062 ლარი, შემოსავლები - 54875636 ლარი, დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა - 238. შესაბამისად, 2020 საანგარიშგებო წლის ანგარიშგების წარუდგენლობისთვის საწარმოს დაეკისრა პასუხისმგებლობა, როგორც მეორე კატეგორიის კომპანიას.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის, ასევე, შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე, შპს „დაგი“-ს ზომითი კატეგორიის განმსაზღვრელი მონაცემები იყო შემდეგი: აქტივები - 2689362 ლარი, შემოსავლები - 98353989 ლარი, დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა - 394. სამსახურის მიერ, აღნიშნული მონაცემების შეფასებით რისკების მართვის სისტემაზე დაყრდნობით, საწარმოს ზომითი კატეგორია 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის განისაზღვრა როგორც პირველი.

გასათვალისწინებელია, რომ კანონის მე-3 მუხლის მე-11 დამე-12 პუნქტების გათვალისწინებით, საწარმოს ზომითი კატეგორიის ცვლილებისათვის საჭიროა ორი უწყვეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფიქსირდებოდეს ზომითი კატეგორიის ცვლილება. კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა ორი უწყვეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შპს „დაგი“-ს ზომითი კატეგორიის ზრდას. შესაბამისად, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის საწარმოს ზომითი კატეგორია იყო მე-2 და სამსახურის ბრძანებაში N 070146 შეცდომის საფუძველზე მოხდა შპს „დაგი“-ს ზომითი კატეგორიის მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას“.

კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის 1-ლი მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,შპს “დაგი”-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 1 აგვისტოს N 070146 ბრძანებაში შეტანილ იქნეს არსებითი შესწორება.

2. ,,შპს “დაგი”-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ N 070146 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. სუბიექტს დაეკისროს ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით“.

3. ,,შპს “დაგი”-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ N 070146 ბრძანების მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „რისკების მართვის სისტემაში არსებული და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შპს "დაგი" (შემდგომ - სუბიექტი; ს/ნ - 205022134, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქ. N29, მე-2 და მე-3 კორპ.) 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის წარმოადგენს მე-2 კატეგორიის საწარმოს“.

4.დაევალოს სამსახურს დაუბრუნდეს შპს „დაგი“-ს N 070146 ბრძანების საფუძველზე, იძულებითი აღსრულების მექანიზმით ზედმეტად ამოღებული თანხა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

5.აღნიშნული ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ.თბილისი, გორგასლის N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური